



თარიღი: 25 იანვარი, 2023წ.

ემიტენტი: შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ (ს/კ: 204972155) („კომპანია“ ან „ემიტენტი“)
ფასიანი ქაღალდი: 12,000,000 აშშ დოლარის და 3,000,000 ევროს არაუზრუნველყოფილი და
არასუბორდინირებული ობლიგაციები გამოშვებული 2021 წლის 29 ივნისს (ISIN: GE2700604038 და
GE2700604020)

ობლიგაციონერთა წარმომადგენელი: შპს ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები (ს/კ: 204484628),
მისამართი: საქართველო, თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. N71, მე-4 სართ., ოფისი N28, ტელ: (995
32) 2207-407, ელ-ფოსტა: eprem@nplaw.ge

გადახდისა და კალკულაციის აგენტი: სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ 211359206), მისამართი: საქართველო,
თბილისი, 0105, 3, კუშინის ქუჩა, ტელ: (995 32) 2444-132; (995 32) 2401-111, ელ-ფოსტა: sales@gt.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ობლიგაციების მფლობელთათვის

მოგახსენებთ, რომ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით კომპანია წყვეტს ახალი
ლიზინგების გაცემას.

აღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, რადგან ემიტენტი აცნობიერებს ობლიგაციების
ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს, და იმისათვის, რომ მაქსიმალურად განეიტრალებულ იქნეს
ინვესტორებზე რაიმე ტიპის უარყოფითი ზეგავლენა ან მოლოდინები, ემიტენტი ადასტურებს, რომ
მოიძიებს საჭირო სახსრებს ნაკისრი ვალდებულებების სრულად და დროულად დასაფარად.
დამატებით, ობლიგაციების მფლობელების მხრიდან სურვილის გამოხატვის შემთხვევაში, ემიტენტი
მათ სთავაზობს ობლიგაციების ვადამდე განაღდებას შემდეგი პირობებით:

- ემიტენტი ნაადრევად გამოსყიდვასთან დაკავშირებით განაცხადებს მიიღებს 2023 წლის 15
აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით და განაცხადის მიღებიდან 3 სამუშაო დღის მანძილზე
უზრუნველყოფს ინვესტორებისგან მიღებული მოთხოვნის შესაბამისად დაკმაყოფილებას;
- გამოსყიდვა განხორციელდება განაცხადის მიღების თარიღისთვის ძირითადი თანხის
(ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის
შემთხვევაში) გადახდით;
- განაცხადების წარდგენა უნდა განხორციელდეს „გალტ ენდ თაგარტთან“ (რომელიც
წარმოადგენს აღნიშნულ ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებით ემიტენტის „განათავსების
აგენტს“ და „გადახდისა და კალკულაციების აგენტს“) შემდეგ ელ-ფოსტაზე: sales@gt.ge.

დამატებითი ინფორმაციის სახით, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კომპანია, როგორც საჯარო ფასიანი
ქაღალდების ემიტენტი და ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდებიც ასევე
საეჭროდ დაშვებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე, კანონმდებლობით მოთხოვნილი
გამჭვირვალობის ვალდებულებების ფარგლებში, მიმდინარე და პერიოდულ ანგარიშგებებს აქვეყნებს
შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საფონდო ბირჟა ([https://gse.ge/securities/\\$GLC01H/files](https://gse.ge/securities/$GLC01H/files))
- ანგარიშგების პორტალი (<https://reportal.ge/ka/Reports/Report?q=204972155>)

პატივისცემით,


მადონა შაიდაშვილი,

გენერალური დირექტორი, შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“



25 იანვარი, 2023წ.